ქართული ქრონიკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან ◆ 20 ნოემბერი ◆ 1989წ. №54

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიკოსი საბჭოთა არჩევნებს!

მღერლის პოზიცია

დავით ჯაჯანური

საით მიდის გზა?!

საზოგადოებრივ- პოლიტიკური ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთისათვის, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, არ არსებობს ალტერნატივა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხში.

ეს ძალები ხელისუფლებასთან თანამშრომლობას (და არა დიალოგს) სამართლიანად მიიჩნევენ კოლაბორაციონისტობად, რადგან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება პირდაპირი მემკვიდრეა იმ საოკუპაციო რეჟიმისა, რომელიც ჩვენს სამშობლოში 1921 წლის თებერვალში ქვეყნის ანექსიის გზით დაამყარა ბოლშევიკურმა რუსეთმა.

რადიკალურად განწყობილი განმათავისუფლებელი ძალების ამ პოზიციაში არაფერია უპრეცედენტო, გადაჭარბებული და მიუღებელი. დამპყრობელთა მიერ თავსმოხვეული მმართველობის სისტემასთან თანამშრომლობა, რბილად რომ ვთქვათ, საძრახისად ითვლებოდა ყველა ქვეყნისა და დროის პატრიოტულ მოძრაობაში.

ამ პოზიციიდან გამომდინარე, რადიკალური ეროვნული მოძრაობა უარყოფს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ყოველგვარ ფორმას და ბოიკოტს უცხადებს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მოახლოებულ არჩევნებს.

ეროვნული მოძრაობის მეორე, ლიბერალური ფრთა, რომელიც ჩემი დაკვირვებით, აერთიანებს საქართველოს სახალხო ფრონტს, რუსთაველის საზოგადოებას, სხვადასხვა ფონდებს და ასოციაციებს, პარლამენტური ბრძოლის იდეას ემხრობა.

ამგვარად, გამოიკვეთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორი გზა, ორი პოლიტიკური პოზიცია, რომელთაგან თითოეულს თავისი ისტორიული წარსული, ანუ საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიაში თავისი ანალოგი გააჩნია.

ბუნებრივია, მომავალი დემოკრატიული საქართველოსათვის მებრძოლი და მეოცნებე ძალებისათვის მიუღებელი უნდა იყოს ამა თუ იმ ალტერნატიული პოზიციისადმი უპატივცემლობა მწვავე კონფრონტაცია და ამ ნიადაგზე ეროვნული გათიშულობის გაღრმავება. ადამიანური რწმენისადმი უპატივცემლობა, საზოგადოებრივ შეხედულებებზე და პოზიციებზე ძალადობა ბოლშევიზმის მსგავსი, ტოტალიტარულ-დიქტატორული რეჟიმის თვისებაა.

საქართველოში პარლამენტური ბრძოლის გზას უმეტესად ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია ემხრობა. საზოგადოების ამ ნაწილის პოზიციას, ჩემი აზრით, რამდენიმე მომენტი განსაზღვრავს. ჩვენი ინტელიგენცია, რომლის საზოგადოებრივი ცნობიერება, ე. წ. „კულტის", „ვოლიუნტარიზმის" და „უძრაობის" პერიოდში ჩამოყალიბდა და კარგად იცნობს ოპოზიციასთან ბრძოლის საბჭოურ მეთოდებს, რომელთა ხასიათი კიდევ ერთხელ გამოჩნდა 9 აპრილს, შიშით შეჰყურებს ახალი ეროვნული ძალების მიერ მოწყობილ გრანდიოზულ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, და არც თუ ოფიციოზის კარნახის გარეშე, დღენიადაგ ქადაგებს, რათა მომიტინგენი „შინ წავიდნენ და საქმე აკეთონ", არ გამოიწვიონ ახალი მსხვერპლი და სისხლისღვრა. ხოლო ზოგიერთი ჩემი უფროსი კოლეგა, მაგალითად, ბატონი გურამ ფანჯიკიძე პირდაპირ გვაშინებს რუსული იარაღის ულარუნით, ბატონი შოთა ნიშნიანიძე კი, რომელმაც ასობით ღექსი დაწერა საქართველოს სიყვარულზე, დღეს კითხვას სვამს - ნეტავ საით მიდის მიტინგი, ღმერთისა თუ ეშმაკისკენო. როგორც ჩანს, მისთვის ჯერკიდევ გაუგებარია, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა გზა მუდამ ღმერთისაკენ მიდის.

ერთი სიტყვით, ყოველივე ამის უკან, მორჩილებას მიჩვეული შინაყმის ხმა ისმის: წადით, შვილებო, სახლებში, სანამ ბატონი გაგწკეპლავდეთ!

მეორე მხრივ, ინტელიგენციის ერთი ნაწილი დასავლეთის პარლამენტური დემოკრატიით არის გატაცებული, სადაც პოლიტიკური ცხოვრება ცივილიზებული სამყაროსათვის ჩვეული კორექტულობით მიმდინარეობს და პარლამენტარიზმისადმი ბოიკოტი მართლაც ექსტრემისტულ ავანტიურად აღიქმება

მაგრამ აბა ვკითხოთ პარლამენტურ გზაზე შემდგარ ჩვენს დემოკრატებს - რომელ ტრადიციებზე აპირებენ „გარდაქმნის" პარლამენტის დამყნობას, რუსეთი ხომ ის ქვეყანაა, სადაც თავის დღეში არ გამართულა თავისუფალი და საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პარლამენტის სხდომა, ხოლო თუ ოდესმე მსგავსი რამ მომხდარა, უსათუოდ ტრაგიკულად დასრულებულა.

... 1917 წლის ივნისში პეტროგრადში შეიკრიბა სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობა. ამ ფორუმის არჩევნები რევოლუციური დროის კვალობაზე დემოკრატიულად ჩატარდა და ბოლშევიკებმა, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ 700-დან 100 - ოდე დელეგატის მანდატი მიიღეს, დანარჩენი ესერებსა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს ერგოთ. როცა პოზიციები აშკარად გამოიკვეთა და ცხადი გახდა, რომ ბოლშევიკები საკანონმდებლო ორგანოში ვერ გაიმარჯვებდნენ, ე. წ. „პროლეტარული", ანუ ბოლშევიკური დიქტატურის იდეით შეპყრობილმა ლენინმა და მისმა ჯგუფმა სულ მაღე შეცვალა საბჭოებისადმი მხარდაჭერის ლოზუნგი, ბრძოლა გამოუცხადა კანონიერად არჩეულ ხელისუფლების ორგანოებს და დაიწყო შეიარაღებული აჯანყების სამზადისი.

... ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რუსეთში პარლამენტური დემოკრატიის მოთხოვნილება, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ ჩაეტარებინათ დამფუძნებელი კრების არჩევნები. კრება 1918 წლის 5 იანვარს გაიხსნა თავრიდის სასახლეში მაგრამ როდესაც დეპუტატთა უმრავლესობამ ეჭვი შეიტანა ბოლშევიკური რეჟიმის სამართლიანობასა და მისი პოლიტიკური კურსის სისწორეში, ცაკის განკარგულებით პარლამენტის მუშაობა ძალით იქნა შეწყვეტილი, ხოლო 6 იანვარს დამფუძნებელი კრება დათხოვნილად გამოცხადდა, დეპუტატთა უმეტესობა დააპატიმრეს, ფაქტობრივად მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ქვეყანაში ძალადობის გზით დამყარდა „დემოკრატიის ბურჯი" და „მშრომელთა მოსარჩლე" „პროლეტარიატის დიქტატურა".

... და აი, სულ ახლო წარსულის მაგალითი: გარდაქმნის შესახებ მოლაყბეთა მიერ ზარ-ზეიმით არჩეული უმაღლესი საბჭოს სესიების სახით პოლიტიკურმა სპექტაკლმა ახალი შეფერილობა მიიღო, რომელიც მოკლებული არ არის კომიკურ სცენებს: ქვეყნის „ერთხმად არჩეულ" „პრეზიდენტს" ღილაკზე უდევს თითი, რათა ტრიბუნაზე „სხვაგვარად მოაზროვნე" რომელიმე დეპუტატის გამოჩენისთანავე მიკროფონი გამორთოს! ჭეშმარიტად, მწერლის თქმისა არ იყოს, რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ახლა თუ მეფისდროინდელი სათათბიროების ისტორიასაც გავიხსენებთ, ნუთუ კვლავ იმდენად გულუბრყვილონი უნდა ვიყოთ, რომ გვჯეროდეს, არსებული ერთპარტიული რეჟიმის ფუნქციონირებისას ოდესმე ისეთი პარლამენტიც ჩამოყალიბდება, სადაც პოლიტიკური დებატების გამართვა, ანდა უბრალოდ აზრის თავისუფალი გამოთქმა იქნება შესაძლებელი, ნებისმიერი რესპუბლიკის გამოყოფასა და იმპერიის დემონტაჟზე რომ არაფერი ვთქვათ.

ამგვარი რამ მხოლოდ სამართლებრივად დაცულ საკანონმდებლო ორგანოში, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში არის შესაძლებელი, სადაც საზოგადოების დემოკრატიზაციას ბიუროკრატიული აპარატის ინსტრუქციებით კი არ ახორციელებენ, არამედ ჭეშმარიტი სახალხო წარმომადგენლობის მეშვეობით, ამ იდეალისაგან ჩვენ ჯერ ძალიან შორს ვართ.

ვფიქრობ, ილუზიებით ცხოვრება არ გამოგვადგება, უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთის იმპერიული ზრახვების ხორცშესხმული განსახიერება - კომუნისტური პარტია, რომელიც მსოფლიოს აწ უკვე არარსებული პროლეტარიატის მესაჭედ აცხადებს თავს, მიზნად ისახავს კომუნიზმად წოდებული მითიური საზოგადოების აშენებას, სადაც აღარ იქნებიან კლასები, ერები და შესაბამისად სხვადასხვა ენები და კულტურები, არასოდეს დაუშვებს სერიოზულ კამათს ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის შესახებ. დემოკრატიული ძალების დაწოლით მიღებული რეფორმატორული ღონისძიებები კი მუდამ შუაგზაზე შეწყდება, როგორც აქამდე, ანდა სულაც ქაღალდზე დარჩება.

დღეს, გარდაქმნასთან დაკავშირებით, საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანას მისი პატრონები მასების მოტყუებისა და დემაგოგიის ახალი ფრაზეოლოგიით აპროგრამებენ.

... ისეთი დემოკრატიული ფაქტი, როგორიც იყო სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევა 1917 წლის ივნისში, ძვირად დაუჯდათ დროებით მთავრობასა და რუსეთის დემოკრატიულ ძალებს. „განაწყენებულმა" ლენინმა და მისმა პარტიამ, ანდა, ხალხის რჩეულთა შორის რატომ [illegible]ეტესობა არა ვართო, მოახდინეს ოქტომბრის გადატრიალება და სისხლიანი ბოლშევიკური დიქტატურა დაამყარეს.

ეს აქცია, რომელიც 70 წლის წინათ განხორციელდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ლენინის გენიალობისა და ბოლშევიკური რევოლუციური გაბედულების მაგალითად არის კვალიფიცირებული.

ახლა ერთი წუთით მოვუხმოთ ფანტაზიას, 70 წლით გადავინაცვლოთ წინ, მომავალში, ამ დისტანციიდან შევხედოთ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ორ განსხვავებულ პოზიციას და ავწონ-დავწონოთ, რომელი უფრო კეთილშობილურად გამოიყურება - ოდესღაც ძალადობით გარედან შემოტანილი რეჟიმის მემკვიდრე ხელისუფლების გვერდით დგომა, თუ თავისუფალი, ქრისტიანული, დემოკრატიული საქართველოსათვის, მისი კანონიერი მთავრ-

გაგრძ. მე-4 გვ. ⟶

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდება

პრეამბულა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადავიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება ერთობლივი ძალისხმევითა და საყოველთაო ეროვნული მობილიზაციით შეურიგებელი, უკომპრომისო და მიზანდასახული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ თვალსაზრისით, მიზნის მისაღწევად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოში დღეს არსებული წამყვანი ეროვნულ-პოლიტიკური, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შეკავშირებას ერთ აღიანსში, პარტიულ საწყისებზე. მხოლოდ საერთო ძალისხმევით მიიღწევა თავისუფალი საქართველო და დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც ისტორიული სუბიექტის, საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში თვითდამკვიდრების გარანტია ეროვნული ერთიანობაა. რამეთუ საქართველოს გაერთიანებით დაიწყო დიად ეროვნულ საქმეთა აღსრულება დავით აღმაშენებელმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაციისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მოწამეობრივი ცხოვრების გზაზე საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

1989 წლის 29 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან, საყოველთაო სახალხო მანიფესტაციის დროს მომხდარი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შეთანხმების საფუძველზე მოხდა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ერთიანობის რესტავრაცია, რაც ნიშანდობლივი საწყისია იმ გაერთიანებული თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც გასწევს ქართველი ერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თავისუფლება არსებობის უზენაესი მდგომარეობაა, რომლის მოპოვება იწყება უადრესად რაინდული და ზნეობრივი ცხოვრებით და საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ფაზაში გადასული საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე უზრუნველყოფს მორალურ-ეთიკური კრიტერიუმებითა და პრინციპებით განსაზღვრულ მოქმედებას.

ძირითადი ნაწილი

მუხლი პირველი – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი არის ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა პარიტეტულ პრინციპებზე აგებული თავისუფალი, ნებაყოფლობითი და დემოკრატიული ერთიანობა.

მუხლი მეორე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ერთიანდებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც შეიარაღებული აგრესიის უშუალო შედეგს, არ ცნობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილების არსებობის, საქართველოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის კანონიერებას და მიზნად ისახავს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

მუხლი მესამე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოქმედებს თანასწორუფლებიანობისა და ერთიანობის პრინციპებით.

მუხლი მეოთხე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში მიიღებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ჩამოყალიბებული სახე და წარმოადგენენ თავიანთ წესდებასა და პროგრამას.

მუხლი მეხუთე – ყოველი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში წარმოდგენილია არაუმეტეს სამი წევრით.

მუხლი მეექვსე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტია და ორგანიზაცია ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და უფლებამოსილია იმოქმედოს დამოუკიდებლად საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტისაგან, თუ არ მოხერხდა საერთო შეთანხმების მიღწევა ამა თუ იმ საკითხზე.

მუხლი მეშვიდე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ყველა წევრ პარტიისა თუ ორგანიზაციისათვის.

მუხლი მერვე – ზნეობრივი პრინციპების მკაცრი დაცვით ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალ ნებისმიერ პარტიასა და ორგანიზაციას შეუძლია გააკრიტიკოს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

მუხლი მეცხრე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასვლა ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის თავისუფალია.

მუხლი მეათე – ხმათა უმრავლესობით საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან მასში შემავალი რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის გაყვანა აკრძალულია.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ირაკლი ბათიაშვილი, ვაჟა ადამია, გურამ გოგბაიძე

საქართველოს ჰელსინკის კავშირი
ზვიად გამსახურდია, ავთანდილ რცხილაძე, თემურ ქორიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი

ეროვნული სამართლიანობის პარტია
ირაკლი შენგელაია, ირაკლი მელაშვილი, ზაზა ზამთარაძე

საქართველოს მონარქისტული პარტია
თემურ ჟორჟოლიანი, იასონ ფავლენიშვილი, გია ხონელიძე

საქართველოს დემოკრატიული პარტია
ვაჟა მთავრიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, თენგიზ შარმანაშვილი

საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია
ირაკლი კაკაბაძე, შალვა ვასაძე, დათო გამყრელიძე

საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი
თენგიზ დიხამინჯია, გიზო კორძაძე, ჯუმბერ ხუნდაძე

განცხადებები ◆ წერილები ◆ დეპეშები

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

განცხადება

ჩვენთვის ცნობილი გახდა აშშ-ს პრეზიდენტის ბ-ნ ბუშის განცხადება იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი თანაუგრძნობს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობებს.

ბატონი პრეზიდენტის ამ განცხადებას ჩვენ უდიდესი კმაყოფილებით შევხვდით, მაგრამ გაგვაოცა და აღგვაშფოთა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებამ, რომ პრეზიდენტი გულისხმობდა მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და სომხეთს.

გვსურს შეგახსენოთ, რომ საქართველო უძველესი სახელმწიფოებრიობის ქვეყანაა და 1921 წელს მისი დამოუკიდებლობა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიამდე 20 წლით ადრე, ბოლშევიკური რუსეთის ხიშტებიდ იქნა შემუსრული.

შეგახსენებთ იმასაც, რომ აშშ საქართველოს დამოუკიდებლობას 1933 წლამდე სცნობდა.

თუკი რომელიმე ერი ღირსია თავისუფლების, მის გვერდით ქართველი ერის მოუხსენიებლობა დანაშაულია არამარტო საქართველოს, არამედ ისტორიის წინაშეც.

გვსურს ვირწმუნოთ, რომ ეს მხოლოდ შეცდომაა და საქმე არ გვაქვს შეგნებულ ნაბიჯთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი:
გ. ჭანტურია, მ. გიორგაძე, ი. ქადაგიშვილი, ი. სარიშვილი,
ვ. ხუხუნაიშვილი, გ. ჩახვაძე, გ. ახალაია, თ. გუდავა (გფრ)

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ბ-ნ გ. გუმბარიძეს

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებათა ერთობლივი

განცხადება

7 ნოემბერი ქართველი ერისათვის სადღესასწაულო დღე არ არის, მაგრამ ქართველობა, ასე თუ ისე, ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ ამ დღეს თბილისში სამხედრო პარადი ტარდებოდა.

წელს, 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ, ქართველი ხალხი ვერ დაუშვებს, რომ 7 ნოემბერს საოკუპაციო ჯარების პარადი ჩატარდეს საქართველოს დედაქალაქში.

სამხედრო პარადი ქართველი ერის შეურაცყოფა და მისი აბუჩად აგდება იქნება. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიშუშებია 9 აპრილის ჭრილობები და ამ ჭრილობებზე მარილის დაყრის უფლებას არავის მივცემთ.

იმ შემთხვევაში, თუ 7 ნოემბერს ქალაქის ქუჩებში ტანკები გამოჩნდება, ჩვენ იძულებული გავხდებით ცოცხალი ჯაჭვი გავაკეთოთ და ტანკებს გზა გადავუღობოთ.

დე, შეგვეწიოს უფალი!

ეროვნულ-დემოკრატიული პარტა

როიალისტთა პარტია

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (დემოკრატებისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, 6 სექტემბერს აფხაზეთში დაიწყო აფსუა მოსახლეობის გაფიცვა, რომელსაც დაემატა შიმშილობის აქცია.

23 სექტემბერს მოსკოვს ეწვია შვიდი მოშიმშილე გუდაუთიდან, მათ მჯდომარე დემონსტრაცია მოაწყვეს ახალგაზრდობის სასახლის წინ. ისინი შეხვდნენ „ექსპრეს-ქრონიკის" კორესპონდენტს და განუცხადეს შემდეგი:

„ჩვენ აქ ჩამოვედით იმ მიზნით, რომ საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას. 1931 წლიდან მოყოლებული გრძელდება ჩვენი გეგმაზომიერი განადგურება და იმ ტერიტორიების დაპყრობა, რომელიც ოდითგან ჩვენ - აფხაზებს გვეკუთვნოდა. ჩვენ ჩამოვედით აქ, რათა ვიკითხოთ - აქვს თუ არა ჩვენს ერს არსებობის უფლება, არის თუ არა ჩვენი დანაშაული ის, რომ გვინდა სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩენა?"

ამას გარდა, მათ „ექსპრეს-ქრონიკას" გააცნეს შემდეგი მოთხოვნები:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბრძანება აფხაზეთში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ, რადგან აფხაზეთში უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებს უნივერსიტეტი და ფილიალის დაარსება მიმართულია აფსუათა შემდგომი გაქართველებისაკენ.

2. 15-16 ივლისის ამბების გამოძიება გადაეცეს ნეიტრალურ მხარეს - სსრკ პროკურატურას.

3. შეიქმნას სკკპ და სსრკ უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა აფსუათა და ქართველთა ურთიერთობას.

4. აფხაზეთი გამოყვანილ იქნას საქართველოს სსრ შემადგენლობიდან.

ამ მოთხოვნებზე თავის აზრს გვაწვდის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი **თენგიზ გუდავა:**

„ძნელი სათქმელია, რა სჭარბობს აფსუათა პოზიციაში - განზრახული პროვოცირება თუ ელემენტარული უმეცრება სამართლებრივ და მორალურ საკითხებში. რატომ ფიქრობენ აფსუა აქტივისტები, რომ მათი მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია ქართველი ერის უფლებებისა და ინტერესების ხელყოფით? იბადება კითხვა - სად შეიძლება ნახონ აფსუებმა მაგალითი იმისა, რომ საკუთარი ენისა და კულტურის დასაცავად აკრძალულ იქნას სხვა ხალხის ენისა და კულტურის განვითარება? როდის გახდა მოსკოვი და მისი დაწესებულებები ნეიტრალურ მხარედ ქართველი ერისათვის? თუ ნეიტრალურ მხარეზეა ლაპარაკი, ლოგიკური იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოწვევა ამ საკითხის გასარჩევად და არა მოსკოვისა, რომელმაც 9 აპრილს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს თავისი „ნეიტრალობა" ქართველი ერის მიმართ.

აღარაფერს ვამბობ აფსუათა მეოთხე მოთხოვნაზე - აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფასთან დაკავშირებით.

კაცმა შეიძლება შიმშილობა გამოაცხადო საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნით, მაგრამ ნუთუ შეიძლება შიმშილობა იმის მოთხოვნით, რომ სხვას ჩამოართვა უფლება, თანაც, როცა ეს სხვა ორნახევარჯერ მეტია შენზე და მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს.

ნამდვილ აფსუას უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოშია შესაძლებელი მისი ხალხის გადაშენებისგან ხსნა.

ხოლო რაც შეეხება შიმშილობებსა და გაფიცვებს, ვფიქრობ, ამით ქართველ ერს ვერც გააკვირვებ და ვერც დააშინებ.

თენგიზ გუდავა

29 სექტემბერი, 1989 წ.
მიუნჰენი

საპროტესტო დემონსტრაციები ◆ მიტინგები

საქართველო

26 ოქტომბერს აფხაზეთის 56 მცხოვრებმა თბილისში, სამხატვრო გალერეასთან, გამოაცხადა მჯდომარე გაფიცვა. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო საქართველოს ტერიტორიაზე კრემლის მიერ ინსპირირებული ყველა დრამის პოლიტიკური შეფასება.

პროტესტის ასეთი ფორმა, ძირითადად, იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ფაქტიურად, არ ხდება აფხაზი ტერორისტებისაგან იარაღის ამოღება.

გაფიცულთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ ედპ - IV დასის სოხუმის, ოჩამჩირეს, გაღის, გაგრის ფილიალების წევრები. მათს შორის იყო, აგრეთვე, ერთი აფხაზი. მიმართვას, რომელიც გაფიცულებმა თბილისში ჩამოიტანეს, ქართველების გარდა, ხელს აწერენ თვით აფხაზები, სომხები და რუსები.

მთელი აქციის განმავლობაში, 26 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე, ყოველ საღამოს სამხატვრო გალერეასთან იმართებოდა მიტინგები, რომელიც მიყავდა საგაფიცვო კომიტეტის წევრს, მეოთხედასელ ბესიკ ჯოლოხავას. მიტინგებზე სიტყვებით გამოდიოდნენ: გიორგი ჭანტურია, ირაკლი ქადაგიშვილი, ზვიად ქადარია, გია ნუცუბიძე, აგრეთვე გაფიცულები და თბილისელი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ აქცია არ ატარებდა ანტიაფხაზურ ხასიათს და მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო როგორც ქართველი, ისე აფხაზი ხალხებისათვის.

აქციას კურირებდა ედპ-IV დასი.

■

სპორტის სასახლესთან გრძელდება წვევამდელთა აქცია, რომლის მონაწილენიც უარს აცხადებენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. აქციას კურირებს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

■

29 ოქტომბერს, თბილისში, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით გარდვეულ იქნა მთავრობის სახლის წინა ტერიტორიაზე გარსშემორტყმული ღობე. აქ დაიწყო აქცია გაერო-დან სპეციალური მისიების საქართველოში ჩამოსვლის მოთხოვნით.

■

29 ოქტომბერს მოხდა ეროვნული ხსნის კომიტეტის ერთიანობის რესტავრაცია. ამ გაერთიანების შედეგად მთავრობის სახლთან სამივე აქცია შეერთდა. აქციის მოთხოვნები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. უარის თქმა საბჭოთა არმიაში სამსახურზე;

2. საქართველოს ტერიტორიაზე კრემლის მიერ პროვოცირებული ყველა დრამის დაუყოვნებლივი პოლიტიკური შეფასება;

3. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვის მიზნით გაერო-დან სპეციალური მისიების მოწვევა.

■

4 ნოემბერს წვევამდელთა აქცია დაუბრუნდა სპორტის სასახლის ტერიტორიას. ამავე დღეს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მჯდომარე გაფიცვამ სამხატვრო გალერეასთან გადაინაცვლა. რაც შეეხება მესამე მოთხოვნას, ადგილობრივმა მმართველობამ თანხმობა განაცხადა რეფერენდუმის ჩატარებისათვის საშუალებათა მიცემაზე; აგრეთვე, მისი თქმით, არ შეიზღუდება პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზღვარგარეთ გამგზავრებაც. გათვალისწინებულ იქნა რა, რომ მმართველობას მოცემულ სიტუაციაში მეტი არაფრის გაკეთება შეუძლია, მთავრობის სახლთან აქცია შეწყდა.

■

10 ნოემბერს სამხატვრო გალერეასთან დასრულდა მჯდომარე გაფიცვა. აფხაზეთის ქართული მოსახლეობა საკმაოდ რეალურ იმედებს ამყარებს ამ აქციის შედეგად მიღწეულ დაპირებებზე.

■

როგორც ცნობილია, რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ გასულ თვეში გაფრთხილებით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას იმის თაობაზე, რომ, თუ 7 ნოემბერს საქართველოში სამხედრო პარადი ჩატარდებოდა, ეს პოლიტიკური ორგანიზაციები ცოცხალი ჯაჭვით გადაეღობებოდნენ სამხედრო ტექნიკას. შედეგად გადაწყდა, რომ წელს საქართველოში არც სამხედრო და არც სამოქალაქო პარადი არ ჩატარდებოდა. თუმცა, 7 ნოემბრის დილას ოფიციალურ დაწესებულებათა შენობებსა და ქუჩებში ოფიციოზმა მაინც გამოფინა წითელი საბჭოთა დროშები. სამართლიანად აღშფოთებულმა მოსახლეობამ ისინი სასწრაფოდ ჩამოხსნა.

7 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სამხატვრო გალერეადან (სადაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ერთი ჯგუფის მჯდომარე გაფიცვა მიმდინარეობდა) დაიძრა ფილარმონიის მიმართულებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის, დემოკრატიული პარტიისა და, აგრეთვე, გაფიცვაში მონაწილეთა ხალხმრავალი კოლონა. იგი შეჩერდა მერაბ კოსტავას სახლთან, სადაც მიმდინარეობდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების მიტინგი. აქ დაიწვა საბჭოთა დროშები. ამის შემდეგ საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილენი გაერთიანდნენ და გაემართნენ ფილარმონიის შენობისაკენ. მსვლელობას წინ უძღოდა სამგლოვიარო დროშები. ფილარმონიასთან გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა ზვიად ბოკუჩავამ. სიტყვით გამოვიდნენ: გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ლუიზა შაკიაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, ბესიკ ჯოლოხავა, გიზო კორძაძე, სერგო საჯაია, ზვიად გამსახურდია, ვასილ ჭყოიძე და ბორის ქობულია. აქციაზე ხაზგასმით აღნიშნეს ამ დღის ჭეშმარიტი არსი, დღისა, რომელმაც უბედურება მოუტანა რუს ხალხთან ერთად, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ყველა ერს.

მიტინგის დასაწყისში ცეცხლს მისცეს დილით ჩამოხსნილი სსრკ და საქართველოს სსრ დროშები. აქციის დაწყების წინ ჩაბარდა ათეულობით საბჭოთა პასპორტი, სამხედრო ბილეთი, კომპარტიისა და კომკავშირის მანდატები. ამ დღის მნიშვნელოვანი მოვლენები გადაიღეს ბელგიის ტელევიზიის წარმომადგენლებმა.

ნაშუადღევს მიტინგი დროებით შეწყდა.

საღამოს 7 საათზე სამხატვრო გალერეასთან მოეწყო მორიგი საპროტესტო მიტინგი, რომელიც გიორგი ჭანტურიამ გახსნა. მაღე აქციას შემოუერთდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი ბათიაშვილი. მიტინგის მსვლელობის დროს „საზეიმოდ" დაიწვა ქუჩებიდან ჩამოხსნილი გადარჩენილი საბჭოთა დროშები. აქცია გვიან ღამემდე გაგრძელდა.

მიიღეს გადაწყვეტილება: ამიერიდან საქართველოში აღარ დაეშვათ საშვიდნოემბრო „დღესასწაულის" საზეიმო აღნიშვნა.

თუ ლენინის ძეგლისა და მთავრობის სახლის მისადგომების გაძლიერებულ დაცვას არ ჩავთვლით, აქციაში მიღიცია, ფაქტიურად, არ ჩარეულა.

ჩუსეთი

მოსკოვში, 7 ნოემბრის „დღესასწაულის" აღნიშვნისადმი პროტესტის ნიშნად, მოეწყო ხალხმრავალი მძლავრი აქცია. ამჯერად 30 ოქტომბრის აქციის ბარბაროსულად დამრბეველ დამსჯელ რაზმებს ფიზიკური ძალა არ გამოუყენებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

■

რუსეთის რამდენიმე ოპოზიციური ორგანიზაციის, მათს შორის დემოკრატიული კავშირის ინიციატივით, მოსკოვის სუკ-ის შენობასთან გაიმართა ლენინურ-სტალინური ტერორის მსხვერპლთადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. ხანმოკლე მიტინგის შემდეგ, დემონსტრანტები გაემართნენ პუშკინის სკვერისაკენ. პუშკინის ქუჩაზე მათ გადაეღობათ სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც აქციის მონაწილეებს არნახული სისასტიკით გაუსწორდნენ. ამ ბარბაროსული დარბევის შედეგად დასახიჩრებულია ასობით ადამიანი. განსაკუთრებით დაზარალდა დემოკრატიული კავშირი, რომლის დიდი ნაწილი დღესაც სტაციონარებში იმყოფება. რამდენიმე მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. დაკავებულია დემოკრატიული კავშირის ორმოცზე მეტი წევრი, მათს შორისაა დკ-ს ერთ-ერთი ლიდერი ვალერია ნოვოდვორსკაია, რომელიც სასტიკად არის ნაცემი. უგზო-უკვლოდ დაკარგულია ამავე ორგანიზაციის მეორე ლიდერი ვიქტორ კუზინი.

მოლდავეთი

კიშინიოვში „სადღესასწაულო" პარადი ჩაიშალა. საპროტესტო აქციის მონაწილენი სასტიკად დაარბიეს. რამდენიმე მათგანი უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს სტაციონარში

საით მიდის გზა?!

ობისა და პარლამენტისათვის უკომპრომისო ბრძოლა. ეს ბრძოლა ადვილი არ არის, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლა როდის ყოფილა ადვილი?

P.S. 1974 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა ნებაყოფლობით დავანებე თავი ისეთ სამსახურს, რომელიც მავალდებულებდა მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში, მევლო პარადებსა და „საზეიმო სხდომებზე", კონტაქტი მქონოდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან - საარჩევნო ურნასთან აღარ მივსულვარ. რასაკვირველია, ეს პროტესტი პასიური იყო და მხოლოდ ჩემს შინაგან ზნეობასა და სინდისს აკმაყოფილებდა, აღბათ ჩემს ბიულეტენს ვიღაც მაინც აგდებდა ყუთში. ოფიციალურად მხოლოდ წელს, სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიას ვაცნობე ჩემი პოზიცია, რადგან იმედი მქონდა, რომ ახლა მაინც აღნუსხავდნენ იმ მოქალაქეთა რაოდენობას, ვინც პოლიტიკური მოტივებით თავს იკავებდა არჩევნებში მონაწილეობისაგან. არ ვიცი, მიმათვალეს თუ არა იმათ რიცხვს, მაგრამ ერთი რამ შემიძლია მტკიცედ განვაცხადო - არც ამიერიდან გავირჯები „კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის" **კანდიდატების** ასარჩევად, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ საქართველოს დემოკრატიული ძალებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თავისი პოლიტიკური პლატფორმებითა და საარჩევნო პროგრამებით.

მინდა მჯეროდეს, რომ ეს დრო შორს არ არის.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ტექნიკური მიზეზების გამო, „ქართული ქრონიკის" სექტემბერ-ოქტომბრის ნომრები ვერ გამოვიდა. ამიტომ, ვაქვეყნებთ რამდენიმე ძველ ინფორმაციას, რომელიც, ჩვენი აზრით, დაგვიანების მიუხედავად, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

საქართველო

შეიქმნა საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი პროფკავშირი (ეს არის საბჭოთა საქართველოში დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნის პირველი ფაქტი.). მასში გაერთიანებულია: რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან: პაატა ქურციკიძე - ცვლის უფროსი, თემურ ცირეკიძე - ოსტატი, ბესიკ ცეხიშვილი - ლაბორატორიის უფროსი, ლევან ლებანიძე - ელექტრიკოსი, ზალიმ ყალიჩავა - ცვლის უფროსი;

მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტიდან: თენგიზ სიგუა - დირექტორის მოადგილე, ჯუმბერ ხანთაძე - ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დომენტი გაბუნია - სწავლული მდივანი;

პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან: მაღლაზ გელაშვილი - სტუდენტი, გურამ მუმლაძე - დოცენტი, ვანო თვალავაძე - დოცენტი, დათო კოპალეიშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი;

„ჭიათურმარგანეციდან": გიორგი ჩაჩანიძე - ოსტატი;

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან: ავთანდილ ხიდაშელი - ენერგეტიკოსი;

„ავტოვაზგაერთიანება", „ხალიბის" რუსთავის თუჯსამსხმელო ქარხნის, ჩოდრის (ირის) ბარიტის მაღაროსა და „საქკვებმანქანათმშენის" წარმომადგენლები.

სომხეთი

„ლოს-ანჯელეს ტაიმსის" კორესპონდენტი მაიკლ პარკსი ერევნიდან იტყობინება: უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ქალაქს ახრჩობს ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც აზერბაიჯანის მხრიდანაა მოწყობილი. სურსათ-სანოვაგითა და საწვავით დატვირთული მატარებლების შემადგენლობები გაჩერებულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (დაახლოებით 26400 ვაგონი). ერევანში არ მუშაობს საწარმოები, ელექტროენერგიის მიწოდება ლიმიტირებულია. სამშაბათს, 26 სექტემბერს, აზერბაიჯანიდან ერევანში შევიდა მატარებლის შემადგენლობა, მაგრამ მათში მოთავსებული სურსათი გაფუჭებული აღმოჩნდა, ხოლო ცისტერნებში ხიზწვავის ნაცვლად წყალი იყო.

ლიტვა

28 სექტემბერს ვილნიუსში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა დაგმეს 1939 წელს ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი და მოითხოვეს ლიტვის გამოყოფა სსრკ-ს შემადგენლობიდან. აქციაში მონაწილეობდა რამდენიმე ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფება. აქციას მხარი დაუჭირა ლიტვის სახალხო ფრონტმა „საიუდისმა".

ავღანეთი

დასავლეთის საინფორმაციო საშუალებანი, ეყრდნობიან რა დასავლეთის დიპლომატიურ წყაროებს, იტყობინებიან, რომ სსრკ კვლავ დიდი რაოდენობით აწვდის სამხედრო მოწყობილობებსა და საბრძოლო იარაღს ნაჯიბულას ანტიხალხურ რეჟიმს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იგზავნება რაკეტები, ტანკები და თვითმფრინავები. მარტო ბოლო რვა თვის განმავლობაში ქაბულში საბჭოთა სატრანსპორტო ავიაციამ 3800-მდე რეისი განახორციელა. ამ დროს გადატანილი ტვირთის ორი მესამედი სამხედრო დანიშნულებისა იყო.

პაკისტანი

როგორც პაკისტანის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, 29 სექტემბერს ნაჯიბულას რეჟიმის ავღანელმა სამხედრო მფრინავმა მაიორმა ჯელაუდინმა პაკისტანის ქალაქ პეშავარის აეროდრომზე დასვა საბჭოური წარმოების მიგ- 21 ტიპის ბომბდამშენი და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. მანამდე, ივლისის თვეში, პეშავარში დაფრინდა სუ-22 ტიპის საბჭოთა წარმოების თვითმფრინავი, რომლის მფრინავმაც ასევე პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა პაკისტანის ხელისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრში შემოვიდა ცნობა ერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტის თაობაზე. ეს არის 25 აგვისტოს დადგენილება 222- 9 სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პირადი შემადგენლობისა და სამხედრო ნაწილის №5482-ის სოხუმის რაიონში „სამხედრო ქალაქში" დაბანაკების და, ამასთან დაკავშირებით, I მილიონი მანეთის გამოყოფის თაობაზე. მუშაობა დაიწყება 1990 წლიდან. დადგენილებას ხელს აწერენ ანჩაბაძე და ჯიქია.

სხვადასხვა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ინტერვიუ მისცა ამერიკულ სატელევიზიო კომპანია ენ-ბი-სი-ს, სადაც გარკვეული ყურადღება დაეთმო გორბაჩოვის გარდაქმნის პოლიტიკასა და სსრკ-ში არსებულ მდგომარეობას.

მისი განცხადებით, ამ ზამთარში გორბაჩოვს სიძნელეები ელის. ეს არის საბჭოთა ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემები, შრომითი კონფლიქტები და ეთნიკური უწესრიგობანი.

თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, თუ გორბაჩოვს სურს წარმატებით განახორციელოს გარდაქმნა და მის პოლიტიკას დასავლეთმა მხარი დაუჭიროს, ამისათვის სსრ კავშირმა ბევრ უსაფუძვლო პრეტენზიებზე უარი უნდა თქვას. პირველ რიგში, ეს ეხება მსოფლიო რეგიონალური კონფლიქტების გაჩაღებას, რაშიც დიდი ღვაწლი სსრკ-ს მიუძღვის. ჯერჯერობით აშშ-მა თავი უნდა შეიკავოს ისეთი დახმარებისაგან, რაც წელში გამართავს კომუნისტურ წყობილებას სსრკ-ში, აღნიშნა რ. ჩეინმ. რაც შეეხება ნატოსა და ვარშავის პაქტებს მათი დათხოვნა სადღეისოდ შეუძლებელია, რადგანაც ნატო ისეთ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ძალუძს საბჭოთა სამხედრო ძალების შეკავება და სანამ სსრკ ბირთვული იარაღის განუსაზღვრელი რაოდენობით იქნება აღჭურვილი, მანამ ყოვლად შეუძლებელია აშშ-ის მხრიდან იმ დახმარების აღმოჩენა, რაც ასე ძლიერ სურს გორბაჩოვს.

■

14 ნოემბერს, კანადაში ვიზიტის შემდეგ, აშშ-ში ჩავიდა პოლონეთის თავისუფალი პროფკავშირების ლიდერი ლეხ ვალენსა.

იმავე დღეს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა იგი თეთრ სახლში მიიღო. თავის მისასალმებელ სიტყვაში ბუშმა ლეხ ვალენსა შეადარა იმ ახალ სიოს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით უბერავს და ახალი ენერგიით აღვსებული კვლავ აღმოსავლეთს უბრუნდება. მისივე სიტყვით, ლეხ ვალენსამ მსოფლიოს დაანახა, თუ როგორ ძალუძს ერთ ადამიანს სხვებს შთაუნერგოს ისეთი რწმენა, რომელსაც შეუძლია მთელი სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შეცვლა უკეთესი მიმართულებით.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ლეხ ვალენსა დააჯილდოვა „თავისუფლების მედლით, რომელიც სამოქალაქო პირთათვის ყველაზე მაღალი ჯილდოა შეერთებულ შტატებში.

თავის მხრივ, ლეხ ვალენსამ განაცხადა, რომ იგი აღფრთოვანებულია ამერიკის შეერთებული შტატებით, ქვეყნით, რომელმაც ააშენა თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება. ამავე დროს, ლეხ ვალენსამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთი მტკიცედ დაადგა თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას და მას იგი არასოდეს გადაუხვევს.

მთავარი რედაქტორი

ირინა სარიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დარეჯან გუგეშაშვილი
ფიქრია იაკობიშვილი
გიორგი მელუა
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ზვიად ქადარია
გიორგი ჭანტურია
შუკო ჯიქია
(პრესცენტრის პ/მგ. მდივანი)

ტელეფონები: 36-03-48, 78-06-15